ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:	Ensuring the protection of children's rights in early and preschool education and educational institutions
პროგრამის სახე:	პროფესიული გადამზადება
განხორციელების ენა:	ქართული
სფერო:	011 - განათლება
პარტნიორები:	შპს ნევერლენდი თბილისის N45 საბავშვო ბაგა-ბაღი შპს ერუდიტები
კვალიფიკაციის დონე:	5 - პროფესიული გადამზადება
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:	7
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:	60
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	20
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	15

პროგრამის აღწერა

პროგრამაში განხილულია ბავშვთა უფლებების დაცვის და რეფერირების პროცედურების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები: ამ ცოდნისა და უნარების გამოყენება ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს დაიცვას ბავშვთა უფლებები, როგორც საკუთარ საქმიანობაში, ისე შეძლოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში ბავშვთა უფლების დარღვევის ფაქტის გამოვლენა და სწორი რეაგირების მოხდენა.

პროგრამის მოცულობა 7 კვირის მანძილზე შეადგენს 138 საათს. სასწავლო პროცესი განხორციელდება შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ბაზაზე, AC სასწავლო გარემოში. სწავლების დროს გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი თემატური ვიზუალური მასალა, სხვადასხვა სწავლების მეთოდი, მათ შორის ელექტრონული სწავლების მეთოდიც.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული იქნება შპს ,,ნევერლენდი", შპს „ერუდიტები", თბილისის N45 საბავშვო ბაგა-ბაღი .

ყველა შედეგის განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება მე-7 კვირას(გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება), რაც ითვალისწინებს ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მსმენელების გადამზადება დარგში არსებული მოთხოვნების შესაბამისად, რაც მათ დაეხმარებათ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში, დარღვევების გამოვლენასა და რეფერირების პროცედურებში მონაწილეობაში, რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა უფლებების დაცვას, ბავშვზე ძალადობის, უფლებების დარღვევის პრევენციას.
დაშვების წინაპირობები
განათლება: *საშუალო*
სამუშაო გამოცდილება: *ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში/სკოლაში მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება/პროფესიული ან უმაღლესი განათლება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით/ უმაღლესი განათლება პედაგოგიკის მიმართულებით/იურიდიული მიმართულებით*
აპლიკანტთა შერჩევის ფორმა *გასაუბრება*
სწავლის შედეგები
1. ადრეული განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკასა და სამართლებრივ საფუძვლებზე მსჯელობა; *2. საგანმანათლებლო პროცესში ოჯახისა და თემის ჩართულობის მნიშვნელობის განსაზღვრა;* *3. სოციალურ-ემოციური გარემოს მნიშვნელობის განსაზღვრა;* *4. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;* *5. ბავშვისა და ოჯახისადმი პატივისცემის გამოხატვა;* *6. ბავშვის უფლებების დაცვა;* *7. უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.*
ლოკაცია
თბილისი *ისანი-სამგორი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი/47-49 ბოჭორმის N8*